მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა

1 შესავალი

მოცემული სამოქმედო გეგმა შემუშავებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის (შემდგომში, კომისია) დაკისრებული ახალი უფლებამოსილებების საპასუხოდ.

გეგმა ასახავს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელიც უნდა განახორციელოს კომისიამ მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიის შესრულების მიზნით; სტრატეგია კი, თავის მხრივ, წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სფეროში აქტიური, გაცნობიერებული და უსაფრთხო ჩართულობის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობას.

პროფესიონალებთან, ჟურნალისტებთან და მედია მენეჯერებთან თანამშრომლობით, კომისია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელთა საშუალებითაც ადამიანები შეძლებენ კრიტიკულად გააანალიზონ, შეაფასონ და ჰქონდეთ ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობა შერჩეულ, გამოყენებულ და შექმნილ კონტენტსა თუ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

სამოქმედო გეგმა მოიცავს სამწლიან პერიოდს და გვთავაზობს დროში გაწერილ ამოცანებს, შუალედური ანგარიშების ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიაში მითითებული შემდეგი მიზნების შესრულებას:

- ლიდერობის, კოორდინაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საქართველოში მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის;
- მედია წიგნიერების კვლევითი პროგრამების შემუშავება და კვლევებსა და ცოდნაზე დაფუძნებული მედია წიგნიერების სტრატეგიული განვითარების ბაზის შექმნა;
- ცოდნისა და რესურსების გაზიარებისა და მედია წიგნიერების პარტნიორობებისა და პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- ციფრული მედია კონტენტისა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და პოტენციური საფრთხეების შესახებ ცნობადობის ამაღლება.

მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია მოიცავს 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრულ განსახორციელებელ ქმედებებს:

1. მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
2. მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის შექმნა არაკომერციული იურიდიული პირის სახით, რომელიც უზრუნველყოფს მედია წიგნიერების მდგომარეობის შეფასებას, სპეციალური საგანმანათლებლო კურსებისა და პროგრამების შექმნას პროფესიონალებისა და საზოგადოების სხვა ჯგუფებისათვის, არსებული გამოწვევების გამოვლენასა და მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარებას;
3. ეროვნული მედია წიგნიერების ქსელისა და მის მხარდასაჭერად შესაძლო ვებ-გვერდის/პლატფორმის შექმნის ხელშეწყობა და კოორდინაცია, რაც ხელს შეუწყობს მედია წიგნიერების განვითარებას სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფით;
4. კომისიის ხელთ არსებული ყველა შესაძლო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის. ეს შეიძლება მოიცავდეს ტრენინგისა და სამაუწყებლო სასწავლო-საგანმანათლებლო პროდუქტების შექმნას, სოციალური რეკლამის დამზადებასა და განთავსებას, კონფერენციების ორგანიზებას, დაინტერესებულ პირთა დისკუსიებს და სხვა მიზნობრივ ღონისძიებებს;
5. სათანადო სახსრების გამოყოფა კომისიის ბიუჯეტიდან და გრანტებისა და დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება მედია წიგნიერების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებისა და პროექტებისათვის;
6. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მედია წიგნიერების მდგომარეობის, არსებული გამოწვევებისა და მისი განვითარების ხელშეწყობისთვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშების მომზადება.

2 სამოქმედო გეგმა: ძირითადი ამოცანები

2.1 სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, კომისიის მიერ შემუშავებული მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია, ასახავს კომისიის მიერ განსახორციელებელ ქმედებებს და მიდგომებს მედია წიგნიერების განვითარების უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიის მიზნების შესაბამისად შედგენილი მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს იმ ძირითად ამოცანებს, რომელიც კომისიამ უნდა განახორციელოს სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად.

ცხრილი 1: მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანები

ძირითადი ამოცანები	ვადები	კავშირი სტრატეგიულ მიზანთან
მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება	1 ივნისი 2018	**1**
კომენტარები, შენიშვნები, წინადადებები დაინტერესებული პირებისაგან გამოქვეყნებულ მედია წიგნიერების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე	20 ივნისი 2018	**1**
მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გამოქვეყნება	2 ივლისი 2018	**1**

2.2 მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის დაფუძნება

მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შექმნა მნიშვნელოვანი კომპონენტია კომისიის მიერ მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის წარმატებით განხორციელებისათვის.

მიჩნეულია, რომ აღნიშნული ცენტრი გახდება მედია წიგნიერის განვითარებისათვის გამოცდილებისა და შესაბამისი ცოდნის მქონე მოწინავე ცენტრი; იგი სარგებელს მოუტანს მთელს საზოგადოებას, მოხდება რა კონკრეტულ ჯგუფებზე მეტი ყურადღების კონცენტრირება, კერძოდ:

- მედია სფეროს პროფესიონალები და წარმომადგენლები; მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- ახალგაზრდები და ზრდასრულები, რომლებიც აპირებენ მედიაში დასაქმებას;
- ბავშვები და ახალგაზრდები;
- მასწავლებლები და ახალგაზრდა ლიდერები;
- მშობლები და აღმზრდელები.

ცხრილი 2 აღწერს ცენტრის ძირითად ფუნქციებს.

ცხრილი 2: მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის ძირითადი ფუნქციები

ძირითადი ფუნქცია	*შესაბამისი საქმიანობის აღწერა*
მკაფიო, კონსტრუქციული შეფასების ჩარჩოს შემუშავება	ამისათვის, საჭირო იქნება კვლევის ჩარჩოს შემუშავება (რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის დაფინანსება, დამუშავება, ანალიზი და გამოქვეყნება), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება: • ქვეყანაში მედია წიგნიერების მდგომარეობის შეფასება; • მედია წიგნიერების განვითარებისთვის სხვადასხვა საჭიროებების მქონე ჯგუფების გამოვლენა; • მედია წიგნიერების საჭიორებებთან, გამოწვევებთან და ნაკლოვანებებთან გამკლავების გზების დადგენა;

	• დაინტერესებული პირებისა და პოლიტიკის შექმნელებისთვის წამოჭრილი საჭიროებების გადასაჭრელად სამეცნიერო მონაცემებზე დაფუძნებული პროექტების შექმნა; • ყველა დაინტერესებული პირის მოხმარებისთვის, მათთივე ჩართულობით აქტივობებისა და ინიციატივების შეფასების ჩარჩოს შემუშავება; • კვლევითი შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტებისა და სტუდენტების ჩართულობის ამაღლებისა და საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით.
სპეციალური საგანმანათლებლო კურსები და პროგრამები	• ინფორმაციისა და ინსტრუმენტების შექმნა და გავრცელება, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის, გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიულ საზოგადოებაში სამოქალაქო ჩართულობის წახალისების, მრავალფეროვნებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით; • გზამკვლევის შემუშავება მედია წიგნიერების პროექტების სკოლებსა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, პედაგოგთა და ბიბლიოთეკართა სასწავლო პროგრამებსა და მკვლევარების სასწავლო პროგრამებში ინტეგრაციისთვის; • ბავშვთა უფლებების ხელშეწყობა ახალი მედია პროდუქტების და ტექნოლოგიების განვითარების თანმდევი მავნე ზეგავლენისგან დაცულად და უსაფრთხოდ მოიხმარონ მედია საშუალებები; • საზოგადოებაში ციფრული მედიის მოხმარების წახალისება და უსაფრთხო გამოყენების ხელშეწყობა; • მედია წიგნიერების სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარების მხარდაჭერა პოტენციურ რისკებთან და გამოწვევებთან გასამკლავებლად; • მედია პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება მედია წიგნიერების მიმართულებით; მედიის წახალისება - საზოგადოებას მიაწოდოს მეტი ინფორმაცია საკუთარი სამუშაოს შესახებ და გაზარდოს საქმიანობის გამჭვირვალობა. მედია პოლიტიკის, კოდექსებისა და გზამკვლევების შექმნა მედიაში სტერეოტიპების და არასწორი ინტერპრეტაციების თავიდან ასაცილებლად (გენდერული სტერეოტიპების ჩათვლით)
მედია წიგნიერების პარტნიორობებისა და პროექტების ხელშეწყობა - მედია ლაბორატორიის განყოფილება - ცენტრი	სავარაუდოა, რომ ცენტრი გახდება „ჰაბი“, მედია წიგნიერების საკითხებში სხვადასხვა სექტორებიდან დაინტერესებული პირების დამაკავშირებელი წამყვანი ინსტიტუტი, როგორიც განსაზღვრულია მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიით; ზემოაღნიშნული სექტორები მოიცავს:: • მედია - მაუწყებლობა, ციფრული, ბეჭდური მედია, სათემო მედია; ჟურნალისტთა ორგანიზაციები; თამაშები; • განათლება - ფორმალური განათლება; არაფორმალური განათლება და ტრენინგი; მასწავლებელთა პროფესიული საბჭოები; სკოლის საბჭოები; • კომერციული - სარეკლამო კომპანიები და საბჭოები; კომპანიები სათანადო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით და ორგანიზაციები, რომლებიც დამოკიდებულია ციფრულ ტრანზაქციებზე; • მეწარმეები და ე.წ. სტარტ-აპები - ახალგაზრდები ინოვაციური და კრეატიული მიდგომებით;

	• ციფრული საშუალებები (სოციალური ქსელები, საძიებო სისტემები და სხვა); • სამოქალაქო საზოგადოება/არასამთავრობო ორგანიზაციები - ფონდები, სათემო ჯგუფები და ქსელები; • მთავრობა/საჯარო სექტორი - სამინისტროები და მარეგულირებელი ორგანოები ახალი მედია პროდუქტების და ტექნოლოგიების განვითარებაში; ბიბლიოთეკები; ადგილობრივი თვითმმართველობა; • კულტურის დაწესებულებები - კინო-საბჭოები/ინსტიტუტები; მუზეუმები;
მედია წიგნიერების შესახებ ცოდნის გაცვლის ხელშეწყობა	მოსალოდნელია, რომ ცენტრი გახდება იდეებისა და გამოცდილების გაცვლის, შესაძლებლობებისა და ცოდნის, მოწინავე პრაქტიკის და რესურსების გაზიარების/გაცვლის საშუალება. აქტივობები აგრეთვე, მოიცავს: • კონფერენციების და სხვა სამიზნე ღონისძიებების მოწყობა; • კონსულტაციებში ჩართულობა; • მედია წიგნიერების ქსელის/პლატფორმის მხარდაჭერა; • საკომუნიკაციო გეგმის შედგენა, რომელიც, შესაძლოა მოიცავდეს სოციალურ მედიასა და ელექტრონულ გამოცემებს, და ა.შ.

ცენტრის დეტალური გეგმა, შეთანხმებული მიზნებისა და ამოცანების ჩათვლით, მომზადდება დაგეგმვისა და საორგანიზაციო ეტაპებზე ისე, როგორც ეს მითითებულია ცხრილში 3.

ცხრილი 3: მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანების ჩამონათვალი

ძირითადი ამოცანები	**ვადები**	**კავშირი სტრატეგიულ ამოცანასთან**
ეტაპი 1 - დაგეგმვა, მიზნებსა და ძირითად ფუნქციებზე შეთანხმება • მმართველობით სტრუქტურაზე შეთანხმება და ორგანიზება; • დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება; • საკვანძო პარტნიორობების ჩამოყალიბება (მაგალითად, მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსების და გრძელვადიანი კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება).	ივნისი 2018 – ოქტომბერი 2018	**2, 3,**
ეტაპი 2 - ორგანიზება: • დაინტერესებულ პირთა წრისა და უკვე არსებული აქტივობების იდენტიფიცირება; • იდენტიფიცირებული შედეგების გამოყენება დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის დაწყებისათვის ცნობიერების ამაღლებისა და ცენტრისათვის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით; • ძირითადი პერსონალის აყვანა ცენტრის ყოველდღიური მართვისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;	აგვისტო 2018 – დეკემბერი 2018	**2, 3,**

• ადმინისტრაციული დავალებები არაკომერციული იურიდიული პირის ჩამოყალიბებისათვის.		
ეტაპი 3 – განვითარება: • სამიზნე ჯგუფების შესახებ არსებული და სხვა კვლევითი მონაცემების შეგროვება , მათ შორის ფოკუს ჯგუფების საშუალებით ამ ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის; • პრიორიტეტული სფეროებისა და ჯგუფების განსაზღვრა მხარდაჭერის მიზნით; • სათანადო სასწავლო მასალებისა და რესურსების შემუშავება გამოვლენილი პრობლემებისა და საკითხების გადასაჭრელად; • საგანმანათლებლო მასალების დატესტვა და კონტენტის დახვეწა; • ცენტრის საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება სოციალური მედიის და ელექტრონული გამოცემის ჩათვლით; • კვლევითი ჩარჩოს შემუშავება, კვლევით პროგრამაზე შეთანხმება და პირველადი ეტაპების ჩატარება; • ექსპერტების, დაინტერესებულ პირთა და მკვლევართა ჩართვა ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების გამოსავლენად; • შეფასების ჩარჩოს შემუშავება.	ინავარი 2019 – მარტი 2019	**2, 3, 4.**
ეტაპი 4 – განხორციელება: • მოკლე სპეციალიზებული სასწავლო კურსების ჩატარება; • ხანგრძლივი საგანმანათლებლო კურსების ჩატარება ; • სამიზნე ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო კონტენტისა და რესურსების მიზნობრივად მიწოდება; • კვლევის ჩატარება, შედეგების ანალიზი და გამოქვეყნება/წარდეგნა (მედია წიგნიერებასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების ჩათვლით); • კონფერენციების, სემინარებისა და სხვა სათანადო ღონისძიებების ორგანიზება (მედია წიგნიერებასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების ჩათვლით).	დეკემბერი 2018 – ივნისი 2021	**2, 3, 4.**
ეტაპი 5 – შეფასება: • ცენტრის მიერ ჩატარებული საქმიანობის ანალიზი შეფასების ჩარჩოს მიხედვით; • რეკომენდაციების შემუშავება მომავალი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, რომელიც დაეფუძნება კვლევების მიგნებებს, არსებული აქტივობებისა და პროგრამების შედეგების შეფასებას, სავარაუდო სამომავლო შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებას; • პროგრესის შესახებ ინფორმაციის მომზადება კომისიის წლიურ ანგარიშისათვის; • სამოქმედო გეგმის განახლება.	ივნისი 2019 – ივნისი 2021	**1, 2, 3, 4.**

2.3 ეროვნული მედია წიგნიერების ქსელის/ვებგვერდის/პლატფორმის შექმნისა და კოორდინაციის ხელშეწყობა მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით

2017 წლის მედია წიგნიერების შესახებ ევროპის მარეგულირებელი ორგანოების პლატფორმის დოკუმენტში[1] აღნიშნულია, რამდენადაც დარგთაშორისი თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია მედია წიგნიერების პროექტების წარმატებისათვის, მედიის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები მხარს უჭერენ მედია წიგნიერების ქსელის ჩამოყალიბებას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი საუბრობს „ქსელის/პლატფორმის, ვებ-გვერდის შექმნაზე მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით“ ცენტრის მიზნების მისაღწევად. ცხრილი 4 აღწერს ასეთი ქსელის შექმნასთან დაკავშირებულ აქტივობებს:

ცხრილი 4: მედია წიგნიერების ქსელის შექმნასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანები

ძირითადი ამოცანები	ვადები	კავშირი სტრატეგიის ამოცანასთან
ქსელის ჩამოყალიბების შესახებ წინადადების შემუშავება; დოკუმენტი განმარტავს ქსელის შექმნის დანიშნულებას, მიზნებს, სტრუქტურასა და მმართველობას, მართვასა და დაფინანსებას.	ივნისი 2018 – ოქტომბერი 2018	**1,3,4.**
ქსელის წესდების და სამუშაო გეგმის შედგენა	ივლისი – სექტემბერი 2018	**1,3,4.**
პირველი შეხვედრის ჩატარება: • წესდებისა და სამუშაო გეგმის დასამტკიცებლად • ქსელის ფუნქციონირებისათვის წევრთა ჩართულობის წასახალისებლად • მედია წიგნიერებასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების გამოსავლენად	ოქტომბერი 2018	**1,3,4.**

2.4 კომისიის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება მედია წიგნიერების ამაღლების ხელშეწყობისათვის

კომისიისათვის ხელმისაწვდომი მექანიზმები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მედია წიგნიერების ხელშეწყობისათვის აღნიშნულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცხრილში 5 აღწერილია ზოგიერთი მექანიზმის გამოყენების ვადები. ვინაიდან

[1] საინფორმაციო დოკუმენტი EPRA/2017/10 მომზადებულია კონტენტ პროვაიდერის, მარტინა ჩეპმენის მიერ ემანუელ მაშესა და ტონ განჰილდ ჰოგან-ჰეფსოსთან თანაშრომლობით მედია წიგნიერების 1-ლი სამუშაო ჯგუფისათვის: აქცენტით მარეგულირებელთა როლზე; შეხვედრა ჩატარდა 2017 წლის 12 ოქტომბერს ვენაში (საბოლოო შეხვედრის შემდგომი ვერსია დათარიღებული 2017 წლის 12 დეკემბრით); იხილეთ ლინკი: https://www.epra.org/attachments/vienna-wg-i-media-literacy-focus-on-the-role-of-regulators-background-document

მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული სამუშაო ჩატარდეს მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევის ცენტრთან თანამშრომლობით, ცენტრის შექმნამდე მოცემული ვადები საილუსტრაციო ხასიათისაა და შესაძლოა დაზუსტდეს.

ცხრილი 5: მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის კომისიისათვის ხელმისაწვდომი მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანები

ძირითადი ამოცანები	ვადები	კავშირი სტრატეგიის ამოცანასთან
სხვა ორგანიზაციებთან ხელმოსაწერი ურთიერთგაგების მემორანდუმში შესატანი საკითხები: • შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება; • სტრატეგიული ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობებზე მოლაპარაკება და შედგენა.	2018 წლის ივნისიდან	1, 2, 3, 4
სამაუწყებლო ტრენინგისა და სასწავლო სამუშაოების მომზადება	2018 წლის შემოდგომიდან	1, 2, 3,
სოციალური რეკლამის მომზადება და ჩვენება	2018 წლის შემოდგომიდან	1, 2, 3,
ტელე და რადიო პროგრამების სამაუწყებლო პროგრამაში განთავსება, რაც შემუშავებულია მედია წიგნიერების განვითარების მიზნებისთვის	2018 წლის შემოდგომიდან	1, 2, 3,
კონფერენციებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა/ჩატარება	2018 წლის შემოდგომიდან	1, 2, 3, 4
სათანადო სახსრების გამოყოფა კომისიის ბიუჯეტიდან, გრანტების მოპოვება და დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება მედია წიგნიერების განვითარების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებისა და პროგრამებისთვის	2018 წლის შემოდგომიდან	1,

2.5 მედია წიგნიერების შესახებ ანგარიშგება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომისია ვალდებულია, შეადგინოს ანგარიში მედია წიგნიერების შესახებ, სადაც წარმოდგენილი და გაანალიზებული იქნება არსებული გამოწვევები და ჩატარებული სამუშაოები მედია წიგნიერების განვითარების მხრივ. ცხრილში 6 აღწერილია რამდენიმე ძირითადი ამოცანა.

ცხრილი 6: მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის კომისიისათვის ხელმისაწვდომი მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანები

ძირითადი ამოცანები	ვადები	კავშირი სტრატეგიულ ამოცანასთან
ცენტრთან ერთად შეფასების ჩარჩოს/ფორმის შემუშავება	2018 წლის ივნისიდან	1
ცენტრთან შეფასების ფორმის შეთანხმება	იანვარი 2019	1
ცენტრი წარადგენს ინფორმაციას საქმიანობის მსვლელობის შესახებ კომისიის წლიურ ანგარიშში ასახვისათვის	მაისი 2019	1
კომისია თავის საქმიანობის ანგარიშში ასახავს მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას, რომელსაც მას მიაწვდიან ცენტრი და სხვა პარტნიორები	ივნისი 2019	1